

კლუბური ნარკოტიკული ნივთიერების ტესტირება და მიღებული
შედეგის გავლენა მოხმარების გადაწყვეტილებაზე საქართველოს
პირობებში

ადიქციის კვლევების პროგრამის სამაგისტრო ნაშრომი

ავტორი: სალომე შამანაძე

ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე



თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2022წელი.

აბსტრაქტი

შესავალი - მოცემული კვლევის ანგარიშის საშუალებით წარმოჩენილია კლუბური ნარკოტიკის შემოწმების შემდეგ დაფიქსირებული უცხო ნივთიერების მოხმარება-არ მოხმარების გადაწყვეტილება კლუბური ნარკოტიკის მოხმარებელ პირთა მიერ. კვლევა ჩატარდა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. ნარკოტიკული ნივთიერების რეკრეაციული მიზნით მოხმარებისას წარმოშობილი სირთულეების თავიდან ასარიდებლად, ზიანის შემცირების პროგრამები ნარკოტიკის ტესტირების მეთოდის გამოყენებით ახერხებენ მოხმარებელს მიაწოდონ ინფორმაცია მათი ნარკოტიკის ძირითადი შემადგენლობის შესახებ, რათა, ადამიანმა ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება მიიღოს მისი მოხმარებისას.

მეთოდი - კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ, ჩატარდა 10 ჩაღრმავებული ინტერვიუ წინასწარ შემუშავებული გზამკვლევის გამოყენებით. მონაწილე პირთა შესარჩევად განხორციელდა არაალბათური, მიზნობრივი შერჩევა. შეირჩა პირები საქართველოს მასშტაბით, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებამდე მიმართავენ ნარკოტიკული საშუალების ტესტირებას რეაგენტ ტესტების გამოყენებით. ჩართვის კრიტერიუმი: 18 წელზე მეტი ასაკის, გამართული ქართულით მოსაუბრე, ინფორმაციის გაგების უნარის მქონე პირი, რომელსაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ნარკოტიკის ტესტირების გამოცდილება რეაგენტ ტესტით, მინიმუმ ერთხელ მაინც ჰქონია და აქვს ნებაყოფლობითი სურვილი მიიღოს მონაწილეობა კვლევაში.

შედეგები - ტესტირების შემდეგ უცხო ნივთიერების აღმოჩენისას პირის გადაწყვეტილება მისი შემადგენლობის მიუხედავად მოხმარებასთან დაკავშირებით დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, ესენია: სიფხიზლე მოხმარების გადაწყვეტილების მიღებისას, ფენტანილის არსებობა მოსახმარ ნივთიერებაში, გამოცდილი მეგობრის რჩევა მოხმარებასთან დაკავშირებით.

Introduction - The report of this research presents the decision of the use- or don't use of a foreign substance observed by club drug users after the club drug test. The research was conducted within the framework of the master's degree. To avoid the difficulties of using the drug for recreational purposes, harm reduction programs use the drug testing method to provide information to the user about the basic composition of their drug, so that a person can make an informed decision when using it.

Method - A qualitative research method was used in the research. In particular, 10 in-depth interviews were conducted using a pre-designed, semi-structured questionnaire. Non-probabilistic, targeted selection was made for the selection of participants. Individuals were selected throughout Georgia who apply drug testing through reagent tests before consuming the drug. Inclusion criteria: Georgian citizens over the age of 18 who have the ability to speak and understand Georgian fluently and also have experience in drug testing with a reagent test in the last 12 months, at least once and has a voluntary desire to participate in research.

Results - A person's decision to use a foreign substance after testing, regardless of its composition, depends on several factors, including: vigilance in the decision-making process, the presence of fentanyl in the substance to be used, the advice of an experienced friend regarding consumption.

განმარტებები

კლუბური ნარკოტიკი- ნებისმიერი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც შესაძლოა მოიხმაროს პირმა საკლუბო სივრცეში.

ოპიოიდები- ოპიოიდები წარმოადგენენ ნარკოტიკების კლასს, რომლებიც ბუნებრივად გვხვდება ოპიუმის ყაყაჩოს მცენარეში და რომლებსაც ხშირად გამაყუჩებელი ეფექტის გამო იყენებენ. ოპიოიდები შეიძლება იყოს რეცეპტით გაცემული მედიკამენტები, ან შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული ქუჩის ნარკოტიკები, როგორცაა მაგალითად ჰეროინი.

ზიანის შემცირება- ზიანის შემცირების პროგრამები წარმოადგენს სერვისების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად, მათ შორისაა ჩანაცვლებითი თერაპია, შპრიცებისა და ნემსების პროგრამა, ნივთიერების სწრაფი შემოწმების პროგრამა და ა.შ.

რეაგენტ ტესტი- რეაგენტ ტესტით ნივთიერების შემოწმება წარმოადგენს ზოგადად ნივთიერების ტესტირების ერთ-ერთ ფორმას, რომელიც გულისხმობს რეაგენტ ნივთიერებით (მჟავით) კონკრეტული ნარკოტიკული ნივთიერების ამოცნობას.

რეფერირება- რაიმე სერვისში გადამისამართება, საჭიროებისამებრ.

გამოყენებული აბრევიატურა

GHB - გამა-ჰიდროქსიბუთირატი

MDMA- მეთილონდიოქსი-მეტამფეტამინი

LSD - ლიზერგინის მჟავას დიეთილამიდი

Nvivo - თვისებრივი ინფორმაციის ანალიზისთვის მოწოდებული კომპიუტერული პროგრამა

მადლობა

მადლობას ვუხდით პროგრამის ხელმძღვანელს, ქალბატონ ირმა კითაძეს თემაზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის, ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ორგანიზაცია „მანდალა“-ს და მის თითოეულ წევრს კვლევისათვის საჭირო რესპონდენტების მოძიებისა და ჩართვის პროცესში გაწეული უდიდესი დახმარებისათვის. მადლობა თითოეულ რესპონდენტს დათმობილი დროისა და გულწრფელი პასუხებისათვის.